



წელიწადი გამოთხე

წელიწადი გამოთხე

სამეურნეო უზრუნალი

გოსსავალი



ავვისტო.

№ № 15 & 16

ზინაარსი:

ახალი კანონი და ჩვენი მოვალეობა.....	3
— ვ. გულბათიშვილი... ესპარტა ბაღასი.....	5
პრ. პეტრიაშვილი... დვინის გადაღება და დაწმენდა.....	6
ვინმე მესხი..... რედაქციის პირთუელიდან.....	9
— შებამბეთა კრება (რუსულით).....	14
— შ. დედაბრიშვილი... მეცხვარეობა საქართველოში.....	16
სახელმწიფო სათათბირის მიერ მიღებული და ხელმწიფე-იმპერა- ტორისაგან დაშტკიცებული კანონი.....	20
— წესდებულებანი შებამბეთა კრების მოწვევის შესახებ.....	21
— ბრგრამა კითხვებისა, რომელიც უნდა განზღოს შებამბეთა კრებამ ქ. ტფილისში სექტემბრის 25-დან 29-მდე.....	22
მესხი კ. გვარამაძე... მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კაზმულის შესადგენად...	23
<u>საყურადღებო ცნობები:</u>	
თსლე-ჭაჭის შედგენილობა და გამოყენება.....	24



სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასულ წელს ჟურნალში იღებდნენ მონაწილეობას: — ანაწილი ვ., ანაწილი ბ., ანაწილი ი., გულბათიშვილი ვ., გადმოსწილი ბ., გვარამაძე ი., გორთამაშვილი დ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშვილი ვ., მელია პ., მდივანი დ., შაჩაბელი ა., შაჩაბელი ი., ნახუარიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე უ., ცხადაძე გ., დ—ძე დ., მლ. ჯალიაშვილი, წ—ძე ა., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამაგლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **თრი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**



ახალი კანონი და ჩვენი მოვალეობა

ფრიადსაგულისხმიერო კანონი იქმნა შიღებულო სახელმწიფო ორივე პალატისაგან და ხელმოწერილი ხელმწიფე-იპერატორისაგან 9 ივნისს 1912 წ.

ეს კანონი სამიოდე მუხლისაგან შემდგარი ჟურნალის ამავე ნომერში იბეჭდება და გახდება სახელმძღვანელოდ პირველ იანვრიდან 1913 წ.

იგი აძლევს სამიწათმოქმედო დეპარტამენტს უფლებას დააკისროს ხოლმე სახელმწიფო ხაზინას სამი მეოთხედი იმ ხარჯისა, რომელსაც იწვევს რომელიმე სამეურნეო საქმის მოწესრიგება ერობისაგან, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან ან რომელიმე სამეურნეო ამხანაგობისაგან მოაზრებული.

მდაბიურად რომ ვსთქვათ, ეს აი რასა ნიშნავს: შენ (რომელიმე საზოგადოება ან ამხანაგობა) ვსთქვათ გყავს მარტო ერთი ხარი და ურემი საკუთრივ გინდა შეება. კანონი გეუბნება: ოღონდ კი მართლა მოინდომე შენ ურემის საკუთრივ შებმა, გამოუცხადე დეპარტამენტს და ხაზინა გიყიდის სამ ხარსაც, გეყოლება ყვეარი, შეაბი ურემი და იმუშავეო.

ან შენ იქნება გაქვს ათი თუმანი და გინდა რამდენიმე სამეურნეო მანქანა-იარაღი შეიძინო. კანონი ამბობს: ოღონდ კი მართლა მოისურვე, გამოაცხადე და თუ ფული არა გყოფნის, ხაზინა შეგეწევა ოცდა ათი თუმნით, გაგიხდება ორმოცი თუმანი, იყიდე განზრახული იარაღი და იმუშავეო.

თუ გაქვს ბედელი, მარანი, თავლა, სკოლა ან სხვა რამ შენობა ასაშენე-

ბელი, ან სარწყავი, სასმელი წყალი გაქვს გამოსაყვანი, ან სხვა რამ დიდი სამეურნეო საქმე გაქვს მოაზრებული და ჰლონობ, რადგან შენი ერთი ათასი ან ათი ათასი არა გყოფნის და ვერ დაგიწყვია საქმე, გამოუცხადე დეპარტამენტს—გეუბნება კანონი—და ხაზინა შენს ერთ ათას ან ათ ათას თავის მხრიდან დაუმატებს სამჯერ მეტს, თუ ერთი ათასი გაქვს ოთხი ათასი გაგიხდება, თუ ათი ათასი—ოცდა ათი ათასი გექნება და, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შეუდეგ შენ საქმეს, თავისუფლად გეყოფა ამოდენა ფული.

ეხლა ასე ვიფიქროთ: მე რომ ათასი თუმანი მქონდეს და მოვიწოდო ისეთ დიდ საქმეს მოგვიდო ხელი, რასაც ეს ჩემი ერთი ათასი კი არა ოთხი ათასი სკირდება, იძულებული ვიქნები ან თავი გავანებო განზრახულ საქმეს, ან ჩემი ფული ჯერ სხვა რამ საქმეში ვაწარმოვო, მოვავებინო სამჯერ მეტი და ან ვინმე გავიამხანაგო ისეთი რომ ჩემზე სამჯერ მეტ თანხას ჩამოვიდეს ჩემ მიერ განზრახულ საქმეში ზე მაშინ მექნება ის ოთხი ათასი, რომლითაც შემიძლიან დავიწყო წინადავე მოაზრებული საქმე.

ახალი კანონი კი გვეუბნება: ჯერ ერთი რომ არ არის ქვეყანაზე ისეთი სააღებ-მიცემო საქმე, რომ მოგების მაგივრად წაგება არ შეიძლებოდეს და მეორე სად ნახავ ისეთ საქმეს, რომ ერთი ათასი დაატრილო და სამი ათასი წმინდა მოიგო საჩქაროდ? მოდი ჩემთან—გეუბნება კანონი, მე მოგცემ უდავიდა-რაბოდ მაგ სამ ათასს ზედმეტად და

არაფერი სანაცვლო არ მინდა შენგან, ოღონდ საკეთილო სამეურნეო საქმე გაკეთდესო. ან იქნება შენ ისეთ ამხანაგს ეძებ, რომ სამი ათასი ჩამოვიდეს შენს ერთ ათასთან და გითხრას: ეს საქმეც შენ და ფულიც შენ, მე არაფერი არ მინდა შენგანაო. განა საშოვარია ესეთი ამხანაგი? მე კი გეუბნები: ოღონდ მოისურვე სამეურნეო რამ საქმის გაკეთება, იკისრე ერთი მეოთხედი ხარჯი შენი მხრიდან და დანარჩენს სამს მეოთხედს მე შეგეწევიო.

ესეთია აზრი ზემოხსენებული კანონისა.

—ე, საქმე ის არის, იმას მისცენ დახმარება, ვისაც არა აქვს-რა—გულისწყრომით იფიქრებს ზოგი მკითხველი,—თორემ ვისაც ათასი და ათი ათასი ან თუნდა მარტო ათი თუმანი აქვს, ან ცალი ხარი მაინცა ჰყავს, ისინი თავს როგორმე გაიტანენ. ეგ ისევ ის გამოდის—„მიეცეს და მიემატოსო“. არ მომწონს არც ეგ კანონი, რადგან საწყალი კაცის მდგომარეობაში არც ეგ შედის, მანდაც კანონმდებელი ისევ შეძლებულებსათვის ფიქრობს.

ესეთი შენი გულისწყრომა, ჩემო მკითხველო, მართალი არ არის. კანონი იგი შეძლებულებსათვის კი არ ზრუნავს, არამედ იმისათვის რომ საკეთილო სამეურნეო საქმე ნამდვილად გაკეთდეს. კანონი იგი გულისხმობს რომ თუ თითონ შენ, საქმის მომწადინებელი, არაფერს არ გამოიღებ შენი ჯიბიდან, რითი დავრწმუნდე რომ შენი მოწადინება ცარიელი ლაპარაკი არ არის, რომ შენ მართლა საქმეს გააკეთებ, უკეთუ მთელი საჭირო თანხა ხაზინამ მოგცა.

მართალია, იქნება აქაც „მიეცეს მიემატოს“ გამოდის, მაგრამ სამჯობინა-

რია იმაზე ვიფიქროთ, როგორ გამოვიყენოთ ჩვენ ეს ახალი კანონი, ვიდრე მის ხილვა-კილვას მივყევთ. უფრო საინტერესოა ვიფიქროთ იმაზე, თუ რამოდენა მადლს იზამს ის, ვინც დაგვეხმარება და მოგვეცემს ერთ ათას ან ათ ათას, რომ სამი ათასი ან ოცდაათი ათასი გამოვიტანოთ ხაზინიდან ჩვენს სამშობლო მიწა-წყალზე, ჩვენს მეურნეობაზე მოსახმარებლად, რადგან თუ ჩვენ აღარც მიწა გვექნება და აღარც მეურნეობა, მაშინ სულ ოხრად ჩაივლის ჩვენი წარსული კულტურაც და მომავალიც გაგვინიავდება. რასაც ჩვენ თვითონ დავხარჯავთ ჩვენს მეურნეობის წარმატებაზე, ეს ხომ ერთი უმაღლიერესთაგანი ხარჯი იქნება და ერთი ათად დაგვიბრუნდება. ვარდა ამისა ჩვენგანთ დახარჯული ფული თან წაიყოლიებს სამს იმოდენა ნაღდს ხაზინიდან მიღებულს და ესეც ერთი ათად დაგვიბრუნდება ჩვენდავე საკეთილდღეოდ. გააყოლე ეხლა, მკითხველო, შენი ფიქრი ამ გზას და ადვილად მიხვდები იმ გონიერებას, იმ მადლს, რომელსაც ჩაიდენენ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, რომ თავიანთი თანხებიდან ნაწილი მაინც მოახმარონ ჩვენს მეურნეობის აღორძინებას და რასაც თვით დახარჯავენ იმაზე სამჯერ მეტი ხაზინას დაახარჯვიან ამავე საგანზე.

აბა ახლა იფიქრე, რამოდენა პასუხისგებაში ვარდება ყოველი ჩვენი საზოგადო მოღვაწე წინაშე თავის სამშობლოს წარსულისა და მომავლისა, რომელიც ამ ახალი კანონით მინიჭებულს უფლებას გულგრილად მოეკიდება და ხელს არ შეუწყობს, რომ ჩვენმა ბედშავმა ხალხმა ამით მაინც ისარგებლოს...



ესპარცეტა ბალახი

ისეთ ურწყავადგილზე, სადაც იონჯა არ მოვა, ესპარცეტა ბალახი უნდა დაითესოს, რადგან იგი უფრო იტანს გოლვასა და მშრალს ნიადაგს, ვიდრე იონჯა.

ესპარცეტა ბალახს ფოთოლი აქვს გრძელი, ბატის ფრთის მაკვარი, პატარა პატარა ფოთლებით დაყოფილი, რომელნიც სხედან ამ დიდ ფოთლის შუა ძარღვზე წყვილ-წყვილად ერთმანეთის მოპიდაპირედ და თავდებიან პატარა კენტი ფოთლით შუა ძარღვის გასწვრივ. ეს პატარა ფოთლები გამოაქვს ბალახს კენტად და ითვლებიან რიცხვით 13—25. ყვავილი იცის ბალახმა კუნწულა, ბევრი ფურცლებისაგან შემდგარი, ფერით მკრთალი წითელი. ბალახის ნაყოფი წარმოადგენს პარკს, რომელიც მოყვანილობით მამლის ბიბილოსა ჰგავს, პარკში ერთი თესლი დევს ჩვეულებრივი ცერცვის ანუ ლობიოს მარცვლის მაგვარი.

ფესვი ბალახისა ძალიან ღრმად მიდის მიწაში. ღეროს დაბლითა ნაწილი, რომელიც მიწაში აქვს ჩამალული, ბალახს უმსხვილდება ჩვეულებრივ და აქედან გამოაქვს ნამხრევებად ნორჩი შტოები, რომელნიც ითიბებიან თივად. თივა დგება ნოყიერი. დესეტინაზე აღის 150—200 ფუთი.

ესპარცეტა ბალახი იძლევა მოსავალს 5—6 წლის განმავლობაში. სთესავენ ამ ბალახს ქერთან ან შვრიასთანაც ერთად და ცალკეც. ცალკე თესვა სჯობია. ხშირად დათესილი ესპარცეტა სჩაგრავს

ყველა შამბ-ბალახებს და სუფთად იზრდება გაბმით, ისე რომ კაცი ვერ გაატანს. დათესვა ბალახისა შეიძლება ადრე გაზაფხულიდან მოყოლებული, როცა გნებავთ, მხოლოდ როცა ითესება უნდა ნიადაგი მონამული იყოს წვიმით ცოტათი მაინც, რომ გაღვიება და ამოსვლა არ გაუჭირდეს თესლს პირველში. ადრე შემოდგომაზე დათესილი ესპარცეტა მეორე წელს ზაფხულში უკვე გასათიბი ხდება.

ამ ბალახის დასათესად ნიადაგი ისე უნდა იყოს გამზადებული, როგორც იონჯისათვის ვამზადებთ*). მიწა უნდა მოიხნას ზაფხულშივე ან ადრე შემოდგომაზე 4—6 ვერშოკზე, დარჩეს ესე მოხნული მთელი ზამთარი წვიმა-თოვლქვეშ, მერე ადრე გაზაფხულზე აიჩეჩოს, დაიფარცხოს და დაითესოს ბალახი დესეტინაზე 8—10 ფუთი თესლი.

საქონლის, მეტადრე ცხვრების, შერეკა ესპარცეტა ბალახით დათესილ მინდორში ყოველად შეუწყნარებელია. ნამეტნავად პირველ წელიწადს, რადგან საქონელი ჩლიქებით ჩქლერთავს ჯერ ფესვ გაუმაგრებელ ბალახს. ცხვრები ისე ძირში სძოვენ ბალახს, რომ მის ღერო ფესვებამდე იჭმება და ხელმეორედ ამოხეთქა მცენარისა შეუძლებელი ხდება.

როგორც სხვა საკვებავ ბალახებში ისე ესპარცეტა ბალახშიაც რაც ხანი გადის, იმდენი აზოტური ნივთიერებანი კლებულობენ და ბალახი ხეჭქდება, რაიც შემდეგი ნიხრიდან აშკარადა სჩანს.

მხედს ანალიზი.	ერია აზოტური ნივთიერება.	სიმსუქნე.	ხეჭქები.	უზოტო ნივთიერება.	ნაცარი.
8 თიბათვეს	23,63 ⁰ / ₀	3,64 ⁰ / ₀	26,92 ⁰ / ₀	38,66 ⁰ / ₀	7,15 ⁰ / ₀
16 თიბათვეს	18,56 „	2,89 „	33,93 „	38,60 „	6,02 „
24 თიბათვეს	15,80 „	3,90 „	35,56 „	39,19 „	5,47 „

*) იხილეთ „მოსავალი“ № 7.

ესპარტეტა ბალახი სტოვებს ნიადაგში გათიბვის შემდეგ თითქმის იმოდენავე სინოციერეს ნიადაგის გასანოციერებლად, რამდენსაც იონჯა ბალახი. გამოკვლევით არის შემჩნეული, რომ ესპარტეტა ბალახის შემდეგ ერთ დესეტინა ნიადაგში რჩება **ორგანიული ნივთიერებანი 14070 გირვანქა** აზოტური — 354 გირვანქა, როდესაც რომ იგივე ერთ დესეტინა ნაიონჯარ ნიადაგზე ჩარჩენილია ხოლმე **ორგანიული ნივთიერება 24280 გირვანქა** და აზოტური — 391,2 გირვანქა.

ესპარტეტა ბალახი ჰყვავის თანდათან და არა ერთბაშად. სათესლე პარკებს იკეთებს ჯერ დაბლა კალთებში და მერე ზემოთ. ამიტომ ვისაც თესლის აღება სურს, მან უნდა ისეთი დრო

შეარჩიოს, როცა ბუჩქის შუა წელზე იქნება ბალახის თესლი შემოსული. ასეთ შემთხვევაში აღარც ბუჩქის ზევითა ნაწილში დარჩება შემოუსვლელი თესლი ბლომად და არც ზედმეტად შემოსული-გაფიცვებული თესლი დააკლდება ბლომად დაბლა კალთებიდან ნიადაგში ჩაბნევით, თუ, რასაკვირველია, გათიბვას დათალმებაც ზედ მიჰყვება და სიფრთხილით დაბუღულდა ბალახი. ორი-სამი დღე სრულიად საკმარისია, რომ ბუღული ბალახისა ამოშრეს და მზად იყოს ბურღოდ გასალეწად.

თესლის ასაღებად ესპარტეტა ბალახი ითიბება 2—3 წლისა რო გახდება და ფესვები გაუთამამდება საკმარისად.

გ. გულბათიშვილი

ღვინის გაღება და დაწმენდა

(ზრდ. პეტრიაშვილიან)

ღვინო რომ დაიდუღებს გადაღება უნდა. დუღიღედა უსათუოდ უნდა გამოშორდეს ღვინოს, რომ ეს უკანასკნელი განთავისუფლდეს პირველის ზედმოქმედებისაგან. ჩვენ ვიცით რომ როცა დუღიღედას მოაკლდება თავისი საზრდო — შაქარი და იკლებს ღვინოში მჟავბადიც, დუღიღედა ბრუვდება და დიდხანს აღარ შეუძლიან ცხოვრება. უსაზრდოობისა გამო ძალაგამოღებული მალე მოხუცდება, კვდება, ღვება და ღვინოსაც დამპალ, წამხდარ გემოს და სუნს აძლევს.

პირველ დუღიღის უნდება ერთი თვე. მაშასადამე ჩვეულებრივ პირობებში ეს დუღიღი თავდება ოქტომბრის დამლევს ან ნოემბრის პირველ რიცხვებში. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ბუნება იქუშება, წვიმებს იწყებს და ჰაერი ცივდება,

დეკემბრის გასულს თოვლსაც სდებს. ჰაერის გაციება, რასაკვირველია, მარანსაც აციებს და ღვინოც ცივდება. სიცივე დუღიღედას აბრუებს, მისი მოძრაობა და მოქმედება ჩერდება, რის გამო თვით ღვინოც ისვენებს, წყნარდება, გაბრუებული დუღიღედა იღეკება ქვევრის ძირში და ღვინო იწმინდება.

ესეთი მდგომარეობა ღვინისა გასტანს იმ დრომდე, სანამ სიცივე არის. დაღება თუ არა შემდეგ გაზაფხულის სითბო, ღვინის მდგომარეობა იცვლება: ჩვენ ვიცით რომ დუღიღის გათავების შემდეგ ბევრი ნახშირმჟავა მაროვილი ღვინოში, სადაც იმდენად მეტი ეტევა ეს ნახშირმჟავა, რამდენადაც ტემპერატურა ღვინისა დაბალია. როცა გამოზაფხულდება და გათბება



ღვინო, ეს ნახშირმჟავე ველარ ეტევა და ამოდის მაღლა, ამოდის ღვინის ყველა ნაწილებიდან: ზევიდან, შუაგულიდან, ქვევრის ძირიდან და არხევს ღვინოს, რომელიც ამოძრავებული ძირში ლექით ისევ ხელმეორედ იმღვრება. აქედან ცხადია რომ ღვინის გადაღება უნდა მოხდეს მაშინ, როცა ჯერ ისევ ცივა და ღვინო დაწყნარებულია, ესე იგი როცა თხლე ჩაღვრილია ძირში და ჯერ არ ამღვრეულა.

ერთხელ გადაღებული ღვინო სრულიად დაწმენდილი არ იქნება. გადაღებაში შესდევს მას ბევრი ისეთი ნივთიერება, რომელიც ამღვრევს მას ხელმეორედ.

ღვინის ხელმეორედ ამღვრევის ერთი მიზეზთაგანი არის, მაგალითად, მჟავბადი, რომელიც ერევა ღვინოს გადაღების დროს. ეს მჟავბადი აღვიძებს მიმკვდარებულს, ხოლო ჯერ ისევ ცოცხალს, დულიდელს, რომელიც იწყებს საზრდობას, თუ რასაკვირველია ეს საზრდო მისი—შაქარი კიდევ არის ღვინოში; იწყობა მეორედ ჩუმი დულილი, იშლება შაქარი, ემატება ღვინოს ალკოგოლი, მაგრდება, მაგრამ ამავე დროს ხელმეორედ იმღვრება კიდევაც. როდესაც დაღუნდება მეორედ გაცოცხლებული და გამრავლებული დულიდელა და ჩაიღვრება ისევ, მაშინ ღვინო კიდევ უნდა გადილოს. ამგვარად ღვინოს სამჯერ, ოთხჯერ და ხან ხუთჯერაც სჭირდება ხოლმე გადაღება პირველ წელიწადს. შემდეგ წლებში კი ორი გადაღება—მარტში და აგვისტოში კმარობს.

ღვინის გადაღების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდს და თვით იმასაც, თუ როგორ ხდება ეს გადაღება.

ბურუსიან ან ღრუბლიან დღეში გადაღება ღვინისა არ ვარგა, თუცა ტემპერატურა კი გრილი სჯობია, ზენა ნიათი. ამ ნიათს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მაშინ ჰაერის მჟავბადი ისე ენერგიულად ველარ მოქმედობს, რადგან ცოტა აქვს ოზონი (მომქმედი მჟავბადი) და თვით ჰაერიც მშრალია და უფრო მძიმე, რის გამო ნახშირმჟავე ბევრი არ ეცლება ღვინოს და თხლე ნაკლებად იმღვრება.

რაც უნდა ბევრჯელ გადავიღოთ ზოგიერთი ღვინო, მაინც ისევ მღვრიე რჩება. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ხელოვნური რამ საშუალება ვიხმაროთ, თორემ მღვრიე ღვინოს არც ფასი და გასავალი ექნება და არც შინ დასალევად იქნება სასიამოვნო. ხოლო აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ღვინის ხელოვნურად დაწმენდას დიდი სიფრთხილე უნდა. დაწმენდით ხშირად კარგი და განთქმული ღვინოები გაფუჭებულია.

ერთი და იგივე ღვინის მრავალჯერ დაწმენდა ხელოვნურად კარგი არ არის. ხელოვნური დაწმენდა ღვინოს აცლის ტანინს და სიმჟავეს, ხშირად დაწმენდა ღვინოს ასუსტებს და ფერს ართმევს. ამიტომ მეორედ დაწმენდას ხელოვნურად მხოლოდ ისეთი ღვინო აიტანს დაუზიანებლივ, რომელსაც ტანინიც ბევრი აქვს და ძალიანაც არის შეღებილი.

ღვინის გასაწმენდად ბევრი სხვადასხვანაირი საწურავებია გამოგონილი, მაგრამ საწურავში გაწურვით ღვინოს მაინც იშვიათად სწმენდავენ. უფრო ხშირად ღვინის დასაწმენდად ხმარობენ სხვა საშუალებებს, რომელნიც იმაზე არიან დამყარებულნი, რომ როცა ღვი-

ნოს მიემატება მძიმე და ფხვიერი სხეული რამ, მაშინ ეს სხეული მალე დაილექავს ხოლმე და თან ჩააქვს ის ნივთიერებანიც, რომელნიც ამღვრევენ ღვინოს. მაშასადამე ღვინის გასაწმენდად სახმარი ნივთიერებანი უნდა მოქმედობდნენ მეხანიკურად. ამგვარ ნივთიერებებს ეკუთვნიან კაჟის ქვიშა, თეთრი თიხა (კაოლინი) და ქალაღი.

კაჟის ქვიშა ძალიან წმინდა, თეთრი და კარგად გარეცხილი უნდა იყოს. ას თუნგ ღვინოზე იღებენ ხუთიდან ათ გირვანქამდე ქვიშას. ამ საშუალებით ღვინო მაინცა და მაინც სანაქებოდ არ იწმინდება და იმიტომ ძლიერ იშვიათად სწმენდენ ღვინოს ასე.

კაოლინი. კაოლინი კარგა თეთრი და წმინდა უნდა იყოს და არა ერიოსრა ისეთი, რაიც ღვინის შემადგენელ ნივთიერებებს შეიძლება შეუერთდეს და ან გაიხსნას ღვინოში. კაოლინი ზოგიერთ შემთხვევაში კარგათა სწმენდავს ღვინოს, თუმცა იშვიათად ხმარობენ ამ საშუალებას.

ქალაღიც იშვიათად იხმარება, რადგან ღვინოს ფერს ართმევს. გახამებული ქალაღის ხმარება სრულიად არ შეიძლება.

ღვინის დასაწმენდად იხმარებიან უფრო იმისთანა სხეულები, რომლებიც უერთდებიან ქიმიურად ღვინის შემადგენელ ნაწილებს და ამ შეერთებით შეადგენენ ისეთ სხეულებს, რომელნიც არ იხსნებიან ღვინოში და დაილექებიან. ამ გვარ სხეულებს ეკუთვნიან სხვადასხვა გვარი წებო-მაგვარი სხეულები.

კვერცხის ცილა (ალბუმინი). ეს აზოტური ნივთიერება ჩინებულად სწმენდავს ღვინოს. უმი კვერცხის ცილა

ალკოგოლისა და ტანინის ზედგაღვლით იჭრება ისე, როგორც 60 გრადუსიანი სითბო ასჭრის ხოლმე მას. მაშასადამე გათქვეფილი კვერცხის ცილა რომ ჩაიშვას ღვინოში და დაურიოთ კარგად, ღვინის ალკოგოლი და ტანინი ასჭრიან კვერცხს, ესე იგი არეული ღვინოში ცილა გამოეცლება ღვინოს, შეკოლტდება და ძირს ჩაილექავს. ამ დალექვის დროს ცილა ჩაიყოლიებს თან ღვინის სიმღვრივესაც და დასწმენდავს ღვინოს. თვით მუშაობა ასე სწარმოებს: ჯერ გასთქვეფავენ კვერცხის ცილას კარგად, მერე მიუმატებენ ცოტოდენ ღვინოს, კიდევ გასთქვეფავენ და ჩაასხამენ გასაწმენდავ ღვინოში და დაურევენ კარგად. ამ წესით სწმენდავენ უფრო ნაზს, მაღალი ღირსების წითელ ღვინოს.

ას თუნგ ღვინოზე 5-6 კვერცხის ცილას ხმარობენ.

ჟელატინი. წითელი ღვინის დასაწმენდად ხმარობენ ჟელატინსაც, რომელიც ძვლებიდან გამოხდილ წებოს წარმოადგენს, წებოსავით მაგარია, უფერული, გამჭვირვალე, იხსნება კარგად თბილ წყალში. ნივთიერება ჟელატინი უერთდება კარგად ტანინს და შეერთებული მასთან აღარ იხსნება ღვინოში, გამოშორდება ღვინოს, ილექება ქურჭლის ძირში და სწმენდავს ღვინოს.

ას თუნგ ღვინოზე 15—20 გრამ ჟელატინს ხმარობენ.

თევზის წებო. ეს წებო ორაგული და მის მაგვარ თევზის საცურავი ბუშთებისაგან მზადდება. ამ ბუშთებს დაკუწავენ წვრილად ან დახვევენ ხელით, დაასხამენ ზედ ცივ წყალს და დაამყოფებენ ასე წყალში ერთი დღის განმავლობაში, რომ დაღბეს და გაიყენოს.

შემდეგ გამოუცვლიან წყალს, გარე-
ცხავენ კარგად და ჩაყრიან ნელთბილ
წყალში, სადაც წებო მ ლე დაიშლება.
მერე ჩაუშვებენ დასაწმენდავ ღვინოში
და დაურევენ კარგად.

ას თუნგ ღვინოს სჭირდება 10—12
გრამი წებო.

ხმარობენ ამ საშუალებას რეთრი
ღვინის დაწმენდაში.

ყველაზე კარგი დასაწმენდი ნივთიე-
რება წითელი ღვინისთვის კვერცხის
ცილაა, თეთრისათვის — თევზის წებო.
კვერცხის ცილის მაგივრად სადა წი-
თელი ღვინის დასაწმენდად იხმარება
ჟელატინიც დაწმენდის შემდეგ ღვი-
ნომ უნდა ერთი-ორი კვირა დაისვენ-
ნოს და შემდეგ გადაიღოთ.

ღვინის დაწმენდელმა შემდეგი უნდა
იქონიოს მხედველობაში:

1) ღვინის დაწმენდა შეუძლებელია
თუ ტანინი არა აქვს ღვინოს იმდენი,
რომ დასაწმენდ ნივთიერებასაც შეუ-
ერთდეს და ღვინოშიაც ცოტაოდენი
დარჩეს ზედმეტად.

2) რადგან თეთრ ღვინოს ტანინი
ნაკლებად აქვს, ამიტომ მას ჯერ უნდა
ცოტაოდენი ღვინის ტანინი მიემატოს
ღვინოშივე გახსნილი და მერე ისე მი-
ცეს დასაწმენდი ნივთიერება.

3) თუ ღვინოს ტანინი მარტო იმ-
დენი აქვს, რამდენიც ღვინის შესაბა-
ხავად არის საჭირო, დაწმენდა ღვინი-
სა საშიშო იქნება, რადგან დასაწმენდი

ნივთიერება ამ ტანინს სრულიად გა-
მოაცლის და დაასუსტებს ღვინოს,
გააძნელებს მის შენახვას. ასეთ შემ-
თხვევაში თუ ღვინო ძალიან მღვრივეა
ყოველ 10 გრამ ჟელატინზე, რომელ-
საც ღვინის დასაწმენდად ავიღებთ, 5
გრამი ტანინი უნდა მიემატოს ღვინოს
და მაშინ ღვინო დაიწმინდება კიდევაც
და არც დასუსტდება*). ცოტათი ამღვ-
რეულოს ღვინოს დასაწმენდი მასალაც
ცოტა დასჭირდება შედარებით.

4) დასაწმენდი ნივთიერება კარგად
უნდა აერიოს ღვინოს.

5) თუ ჯერ კიდევა დულს ღვინო,
იმის დაწმენდა შეუძლებელია, რადგან
დულიდელის ზედმოქმედებით დასაწმენ-
დად მიცემული ნივთიერება შეიცვლე-
ბა და ღვინოს გააფუჭებს.

6) დაწმენდის შემდეგ ღვინო ისე
უნდა ვადილოთ, რომ გარეთი ჰაერი
არ მიეკაროს.

7) მარნის ანუ სარდაფის ტემპერა-
ტურა უნდა 6⁰—10⁰ იყოს. თუ ტემ-
პერატურამ 6⁰-ზე დაბლა დაიწია ღვი-
ნო ძნელად იწმინდება.

8) დიდ ქურჭელში ღვინის დაწმენდა
უფრო ძნელია, ვიდრე პატარაში, რად-
გან რაც ბევრი იქნება ღვინო, იმდენი
ძნელდება მისი კარგად არევა.

9) თითოჯერ ღვინოს დაწმენდით
აკლდება ექსტრაქტი 0,33%, ალკოგო-
ლი 1/10⁰ და საღებავი 1/5 ნაწილი.

რედაქციის პორტფელიდან

(უკანასკნელი წერილი აწ გარდაცვალებული მღ. გვარამაძის)

პატივცემულო რედაქტორო

გ ი. რცხილაძე

ვიგზავნით პირუტყვ-მხეც-ნადირთ სა-
ხელებს ქართულ-თათრულად, მისთვის,
რომ მაჰმადიანი ბევრი ქართველებიც

გვყავს. იმედ-ა არ გაიძნელებთ დაბე-
ჭდვას.

*) ერთი გრამი ტანინი უერთდება 1,5 გრამ
ჟელატინს ანუ თევზის წებოს.

ერთი კვერცხის ცილა უდრის ოთხ გრამ
ჟელატინს.

ქართული.	თათრული,
თაგვი	სიჩან.
თხუნელა	იერ სიჩან.
მუდო	ბეუქ სიჩან.
ვირთაგვა	ოვა სიჩან, გემ სიჩან.
ვირთხა <i>Sciurus</i>	სკივრი.
კურდღელი	ტავშან.
მელა	თილქი.
ტურა	ჩახალ.
კვერნა	გერდევა.
თრითინა	გელანჯიქ, სივრი სი- ჩან.
კატუნი	იაბანიქელი.
ძღარბი	ქირფი.
ხამსარი	სინჯაფ.
ძაღლი	ითკოფაქ.
ფოცხვერი	ვარშაყი.
მგელი	ყურთ.
წყლის ძაღლი	სუ ითი სამურ.
მაჩვი	ფორსულ.
ღთვი	ავი.
ღორი	ღომუხ.
ლომი	არსლან.
ვეფხვი	ყაფლან.
ლომვეფხვი	ასლან-ყაფლან.
ვიგრი	ყაფლან-ფულანგი.
ავაზა	ფულანგეუხ.
ვეფხაქლემა	ზივრაფე.
ცხვირქსანი	ქერქედან.
კანჯარი	ვაბან-ეშაგ.
ჯიქი	აფთარი.
სპილო	ფილ.
აქლემი	დევა.
ირემი	გეიქ.
ჯიხვი	ეაბანი-თაქა.
შველი	ჯეირან.
თხა	გეჩი.
ცხვარი	ყოიუნ.
ვერძი	ყოჩ.
ერკემალი	ერქაგ თექა.
გარე-თხა	ვაბან-გეჩისი.

ქურციკი	სეისელ.
ლაშა	ლაშე.
კაშეჩი	ჯამუშ.
ზროხა	ინაგ, ფური
ხარი	ეოქუხ.
ხბო	ტანა.
იამიორი	ეაბანგეჩირ.
ვირცხენა	ზერდ ჰიმარი ვაჰჩი.
გარეული ტახი	ხინძირ.
მგელ-კაცა	ზირთლან.
მუშკის-შველი	მისკვეირან.
რქიანი ცხენი	ბუინუხლი ათ.
თახვი	ყუნდუზ.
ცხენი	ათ.
ვირი	ეშაგ.
ჯორი	ყათირ ყაბუზინა.
მაიმუნა	ლოსი, ენბეუქ გეიგ (სილინ).

ქვემძრომნი -- ჰაივანთ ზაჰიფა.

გველი	დილან.
გველვეშაპა	აუდერ.
ჯოჯო	ქერთენ ქელე.
კლდის ჯოჯო	ყარაბოთოშ.
ბაყაყი	ყურბალა.
კალია	ჩექირგა.
კუტიკალია	ტალათსიზ ჩექირგა, კუთოსბალა.
მორიელი	ავრებ.
კიბო, კიბორჩხა- ლი	ასტაკოს.
ქრიკინა მინდვ- რისა და სახლისა	ავუსტოს ბეოჯაგი, ჩირთლად.
ყურბელა	მახასბეოჯაგი.
ბოკოკუა, ბაბაკუა	ეორუმჯაგ.
აბლაბუდა ლო- კოკინა	სიემიქლი ბეოჯაგ.
მინდვრის თაგვი	ოვა სიჩანი.
ქეციანი თაგვი	ჩანთალი სიჩან.
ჯინკველთ ჰამია	ყარინჯაჯიან.
ქეციანი ჯოჯო	ფულუ ქართენ ქელე.

ლორიელა ჯაგ-როსანი დომუხეილი ჰაი-ვან.
 აბრეშუმის ჭია იფაგ ბეოჯაფი.
 ღამის ჭია (რწყი-ლის დედა) გეჯა ბეოჯაფი.
 ჭიანჭველა ყარინჯა.
 მატლი ყურთ.
 ჭიანჭველა ყურსოღლუჯან.
 წურბელა სულუგ.
 მუცლის - ჭიები ყანრნი, ყურთლარ,
 (რგვალი ან პრტყელი) იუმრი, შერიტლი.
 ბაღჩაბოსტნების ბეუგ სოღლიჯან
 ბანჯგვლიანი დი-ამნიტი
 დი მატლი.
 რგვალი დიდი ბეუგ სივმიქლი ბეო-
 ლოკოკინა ჯაგ.
 ღვიძლის-პეპელა ჯიფვარ ჰაშრათ.

მწერნი ჰაშრათ.

პეპელა ქეფენეკ.
 ფუტკარი არი.
 ბუზი სინეგ.
 ბუზანკალი ეაბან არისი.
 ბორა მეშა სინაგ.
 კოლო, ქინქლა სივრი სინაგ.
 ციციანათელა ათეშ ბეოჯაფი.
 ტყიპი კენვ.
 რწყილი ფირე.
 ტილი ბით.
 ბაღლინჯო თოხტაბით.
 ბოსტანა ბოსტან ბეოჯაფი.
 მუმლი უფაღ სივრისინაგ.
 მატყლეულის ჩი-ჩქვი აიუნგი კვიფე.
 ბეწვეულის ჩიჩქვი ყლარინჯ კვივესი
 ვაშლის ჩიჩქვი ალმაკივესი.
 ჭიაფერას ჭია ყირმიზ ბეოჯაფი.
 ნეხვის ჭია (ჭია-ფანდურა) ბოგ ბეოჯაფი.
 ყველის ბუზი ფენირ ზენბურ.
 ხარის ბუზი გოქივზ ზენბურ.

ხეტყის ბუზანკა-ალი ალაჯ ზენბურისი.
 მუხის მუმლი მახი ათფან სინაგ.
 ძაღლის ტილი ითინ კენე.
 ქათმის ტილი სთაუღინ კენე და სხვ.

ორცხოველნი.

ხვითქი, კოკორ-დილო თიმსეკ, ნეჰანგ.
 წყლის-ცხენი ათბალული.
 ვეშაპი ადაბალული.
 ვეშაპ-თევზი ლევიათან დაგონ.
 ზღვის-ძროხა დენიზ-ინაფი.
 ზღვის-ხარი დენიზ-გოქივზი.
 ზღვის მარტორქა დენიზ ქერქედანი.
 ზღვის-ხბო დენიზ-ტანასი.
 ზღვის ძღარბი დენიზ ქესტანასი,
 დენიზ ქიფრისი.
 ოქრო-თევზი დივრგერ-პალიდი.
 ტარეხა-თევზი რინკა, თონი, ფაღა-
 მუღ-პალუხ.
 გველ-თევზა აიღან-პალუღ, სკა-
 როს, ექსარ-პალუღი.
 წიწვიტი-თევზი ხამსი-პალუღი.
 თარაფი მერსინ-პალუღი.
 ლოქო მივრაქეფ-პალუღი.
 დიდი ვეშაპი პალენა-პალიდი.
 საქმელი ლოკო-კინა სალიან გეოზ, სივმიქ-
 ლი-ბეოჯაგ.
 მოღია-მოღია საღოზონ, იაეფინ პა-
 (ორაგული) ლული.
 სარდინკა სარდელა პალუღი.
 დელფინი იონუხ-პალუღ.
 კალმახი ალაპალუღ.
 კუ ზღვისა დენიზინ თოხპალა.
 წყლის გვეფეშაპი დენიზინ-აჯდა აირ.
 ჭანარი საზან-პალუღი.
 ლურჯა, კაპუე-ტი თევზი ჩეპუტ-პალუღი.
 კეცტყაენი, სი-პიანი სიპპა-პალუღი.

ფრინველნი — უჩანლარ.

ორბი	ყართალ.
ფასკუნჯი	ანგე.
არწივი	ახპაპა.
სვავი (ხარდიონი)	ლეშვიჯი გვითხორ.
ბუვი	ბაყუშ.
ბუენაქორტი	გვიხალ ბაყუშ.
ძერა	ჩაღლად.
ქორი	ტლან.
შავარდენი	ჩაქირ აყუშ.
მიმინო	ათმაჯა.
ძერძერუკი	ყარალეილაგ, (ყარაბათად).
ლაკლაკი	ლაღლაგ.
წერო	თურნე.
სირაქლემა	დევა ყუშ.
ალალი	ტოლანსიდან.
კაჭკაჭი	სეგსიდან.
ყორანი, ყვავი, ქილყვავი	ყარლა.
თევზი-ყლაპია	ხუხუ.
ყარყანტო	ბირნევ ლაღილაგ
ფუცხი	ირი ჩაღლად.
ფარშავანგი	თავუხყუშ.
კაკაბი	ქექლიგ.
შაშვი	ყარათაუგ.
კირკიტა	ყარლა გიბი.
შოშია	სიღირჯიგ.
მერცხალი	ყირლანდიჯი
მანგალა	კიფსელი.
ტოროლა	ჩაღრყუშ.
მწყერი	ბილღირჩინ.
კოდალა	ოდუნყანყუშ.
ოფოფი	ჰივღჰივღ, იპიპიკ.
გუგული	ეოკეიქ.
მტრედი	გეოღიარჩინ, გოგარჩინ.
ქედანი	ებანიგოღიარჩინ.
გვრიტი	ყუმრუ.
ჩხიკვი	აღაყარლა.

ჯუფარა, გნოლი, სირი. ელვაყუშ.	
ღურაჯი.	
ბელურა, ქივქავი	სირჩა.
ქათამი	თავუგ.
ინდოური	მისირ თავუგ.
ღერღეტი, ბატი	ყაზი.
იხვი	ყორდაგ.
წივწივა	ჩალბივღბივღ.
შროშანი	ისპინოზ.
სოლო, ქრელი	ნუმიდლი თავუღ, ბა-
ღიდი ქათამი, მო-	ტასინა.
ჩხუბი	
ზღვის იხვი, წრი-	ტალყუშ.
ალა	
იადონი	ზორაყი.
თუთიყუშ	ფაფლან.
ბოლო - ქნევი	ყუღირუგ სალიან.
ცხვრის ჩიტი	
ლაღლა	ებანი თავუღ.
აროსი	თოღიყუშ.
გარეული ბატი	ებან ყაზი.
მთის კაკაბი	ტლ ქექლიგი.

ასე ბევრნაირი ფრინველნი არიან როგორც რიყის ჩიტი, (კედელკედელა)- ბუჩქის ჩიტი, ლობე მძვარალა, ბოტორი; ლაღლის წყებისა: ჟრის შოშიები. ნისკარტ-კოვზა, აკანქურებული, დიდ ფრთიანი ფრინველები ზღვისა, ტბებისა და ქაობებისა, რომელთ სახელებიც რიგიანად უნდა გამოირკვეს ქართულად, რაც არ გამოირკვეულა დღემდისინ.

გთხოვთ, პატივცემულო ბატონო რედაქტორო, მდაბლად თუ შეიძლებაოდეს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს სამეღრნეო „მოსავალი“-ს ჟურნალში, ამ მორთმეულს ჩემგან ცხოველების ქართულ-თათრულ სახელწოდებას, რომ დაიბეჭდოს ქვეყნის სასარგებლოდ. კარგად მოგეხსენებათ,

რომ ბუნებითი მეცნიერება ჩვენთვის დღეს ახალი ხილია, ჩვენს ლექსიკონებში ვერ ნახავთ რეგიონად გამოკვლეულს ცხოველების სახელწოდებას. როგორც ხელმოკლე მოსახლე გაჭირვებაში საციქელისთვის შემძლე მეზობლებს მიჰმართავს ხელის გასამართავად, ჩვენც იმისთანა საშუალება ღონისძიებით უნდა ვისარგებლოთ. რამდენი კამათი გამოიწვია მწერლებში ოფოფის და გუგულის გამოურკვეველობის სახელებთან, აღიარებამ? ჩანჩქებთან და ჩხრილომ? სანამ ცხოველებისა და მცენარეულობის სახელწოდებანი არ მოგვეძვედა, ენის საზოგადო ლექსკონიც მოუწყობელი იქნება!

თუ დაბეჭდავთ, მაშინ ხე-ტყისა, ხილნარისა და მცენარეულთა ქართულთათრულ სახელწოდებათაც გაახლებთ საგნის შესავსებლად.

მასპინძლის გულკეთილობა კაცთმოყვარეობით რათ უნდა მივიღეს იქეთს სიბეჩავემდის, რომ მისმა მიღებულმა მათრევალა-მაწანწალა ვინცაა მგონია სტუმრებთან, თავის სახლ-სადგომზედაც მფლობელობა დაიწყონ და მასპინძელს თავის სავანეშიც არ აყენებდნენ და გარეკარზედ აგდებდნენ გათამამებული თავგასულობით. მე-V საუკუნეში სომეხები რომ დამარცხდნენ ვარდანის დროს, ბუზ-ფუტკარივით გამოქცეულნი, სამესხეთოში შემოცვივდნენ, სადაც მთავარმან და თავად-აზნაურობა მაც სიყვარულით მიიღეს იგინი. რა წარმოდგა მათი მიღებისაგან? ჩადგნენ ჩვენს მამულში და უწოდეს პირველ სომხეთად, მეორედ და მესამედ სომხითად, რადგან კაპადოკიამდის და ლაზისტანამდის სამესხეთო იყო. ლიგნის ხეობა და თაოსკარიც მასთან ერთად

შეთვისეს. მე-X საუკუნეში დავით მეფე კურატალატმან, მოუძღურებულ სომხის ანისა და ყარსის მეფეები დაიცვა-დაიფარა სარაკინოზების მძლავრობისაგან, ჩაუყენა სომხეთში საზღვარზედ მტერთ, მრავალი სომხები და ქართველები მებრძოლად, რითაც შეავიწროვა მეტად მტრები, მასთან ბერძნების იმპერატორის მოქიშვესკლი-აროსიც დაამარცხა და განსდევნა პარსეთში.

რა შეუდგა ასეთს მოკეთებას? ეს რომ წავიდ-წამოვიდნენ დრონი სომხებთან თავიანთ მცველ-მფარველი ქართველების დიდი წილი სულ დაასომხეს და ბერძნის იმპერატორმან მოაოხრა მეტად სამცხე!

ბოლოს დაჰკარგეს მეფობა სომხებთან. დარჩნენ ოზოლ-ოხერსავით თავში-საცემლად ქურთ-სკივთებისა, არ დაინდეს როგორც პარსებთან, ისე ქრისტიანმა ბერძნებმაც. ასეთ დაჩაგრულ-დაღალულს გაოხრებულებს მე-XII საუკუნეში მოჰხვია ხელი ჩვენმა დიდებულმა დავით მეფემ აღმაშენებელმან გაჭირბოროტებულ სომხობას დაუფუძნა შუა საქართველოში გორისთანა ქალაქი გადმოასახლა იქ და სამცხის ხეობებში, ხერთვისისა და სხვ.

ქალაქ-დაბებში გაუხსნა სავაქრო-სახელოსნოები, აუგო ეკლესიები, შეიყვანა სამსახურში, ანუ უგეშა მრავალრიგად, თავად-აზნაურობა არ დაუშურა. ადგილობრივი ქართველების მწერლებიც სომხები იყვნენ ისტორიის სიგლების, სამართლის წიგნის და ლექს-ზღაპრების მწერლებად. იმ დღიდან დღემდის მოჰყვენენ და ისარგებლეს არა მარტო მიწით, ვაჭრობით ხელოსნობით და სიმდიდრით, ისევე სახელ-

სახსენებლით და ენითა. ტფილისი ლა-
მოზენ სომხეთად აქციონ, სამესხეთო-
თავოსკარად. იმიტომ რომ მართველად
სასულიერო კათალიკოს პატრიარხი
ჰყავან შკვიდრი საეკლესიო მამულ-დე-
დულით გაპოხიერებული.

ჩვენ კი მასპინძლოური ყოველ ნაირი
უფლება - სიკეთებისგან მოკლებული
ვართ, აღარა გვაბადია-რა, მარტო ერ-
თი ხმელი სულის მეტი.

მე-XX საუკუნეში ენამზე ჩვენი ქარ-
თველი მწერლების სამცხელ სარგის-
თმოგველის, იოანე შავთელის, მოხე-
ლი ჩახრუხადის და შოთა რუსთაველის
შემკვიდრეთ, ჩვენის დაქვეითებულის
უნადღველობით ერთი რიგიანი ქარ-
თული ლექსიკონიც არ მოგვეცევა ჩვე-
ნი ტკბილი ენის დასაცველ-დასაფარ-
ველად ჩვენს დიდ სანუგეშოდ.

დასასრულ გავლილ კვირის გაზეთ-
ში ღიმილ-სიცილით გავგვიხსენეს „ინ-
ტელიგენცია თქვენი გარუსდა, თავად-

აზნაურობა და სამღვდელეობა გარუს-
დნენ, ახალგაზრდა ყმაწვილ-ქალნი „ბა-
რიშნებად“ გამაიმუნდნენ, მარტო ერთი
გლექსკაცობა დარჩენილა ქართველებად,
ქართული ენა რაღა სახსენებელიაო“?..

ამნაირად სამღვთო წერილში ვკით-
ხულობთ: „ასორების ადერ მეფემან აწია
უცხო თესლის რამდენიმე მეფენი და
გაილაშქრა ებრაელების აქაბ მეფეზედ,
შეესია სამარიაში და შეუთვალა თავის
მოციქულის პირითა აქაბ მეფესა: „შე-
ნი მთელი ოქრო-ვერცხლი, სიმდი-
დრე, საცხოვრებელი ჩემია, შენი დე-
დოფალ-მეუღლენი ყველა ჩემია. შენი
შვილებიც სულ ჩემიაო“. აქაბ მეფემ
შიშისაგან მოახსენა პასუხად: „რასაც
ბრძანებთ სწორედ მართალიაო“.

ასე არის დღეს ჩვენი საქმეცა, აქაბმან
გაიმარჯვა და ჩვენი მომავალი ღვთის
ხელშია.

ვინმე მესხი

18 მაისი, 1911 წ.
ქ. ახალციხე.

მეპამბეთა კრება

(რუსულით)

ამ უკანასკნელ წლებში ბამბის მრე-
წველობა მეტად განვითარდა არა მარ-
ტო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ
შტატებში და ევროპაში, არამედ ჩვენ
სახელმწიფოშიაც.

რუსეთის ბამბის სამრეწველოები 23
მილიონამდე ფუთს ბამბას თხოულობ-
ბენ ყოველ წლივ დასამუშავებლად ანუ
210 მილიონი მანეთის საქონელს, რო-
დესაც რომ 7—8 წლის წინად ეს მო-
თხოვნილება 10 მილიონ ფუთზე ზე-
ვით არ აღიოდა წელიწადში.

თვით რუსეთის იმპერიაში — რუსე-
თის შუა აზიაში და კავკასიაში 11 მი-

ლიონი ბამბა მოჰყავთ, ესე იგი ნახე-
ვარი ძლივს იმისა, რაც რუსეთის მრე-
წველობას სჭირდება დასამუშავებლად.
დანარჩენი ბამბა რუსეთს თითქმის
მთლად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთე-
ბული შტატებიდან შემოაქვს.

ზედ დატანებით ამ გარემოებასთან ბამ-
ბის თანდათან გაძვირება და თანაც ხში-
რად დიდი მოუსაველობა ბამბისა რუ-
სეთში უამინდობისა გამო, რუსეთის
ბამბის მრეწველობას უკიდურეს დამო-
კიდებულ მდგომარეობაში აყენებენ
საზღვარგარეთის ასეთსავე მრეწველო-
ბისაგან.



ჩვენი შუა აზრის და კავკასიის ბუნებრივი პირობები—ჰავა და უხმარი ჯერ ისევ ბუნების სიმდიდრენი: აუარებელი მიწები დაუმუშავებელი, უხვი სარწყავი წყლები და სხვა კი იმას გვიკარნახებენ, რომ ჩვენშივე შეგვიძლიან მოვიყვანოთ ჩვენთვის საჭირო და საქარისი ზომის ბამბა ყოველწლივ.

აი ამისა გამო ბამბის თესვა-მოყვანას ჩვენში სახელმწიფო მნიშვნელობა ეძლევა.

რომ რუსეთის მებამბეობა გაჭირებას განიცდის და თხოულობს დახმარებას, ეს მეტისმეტად აშკარად სჩანს უფრო ამ ბოლო წლებში, როდესაც მაღალი ფასების წაქეზებით ბამბაზე ბევრმა დაიწყო მის თესვა-მოყვანა. რაც უფრო მეტი მინდორი ითესება ბამბით, იმდენი მეტად აშკარადდება, რომ მიზნის მიღწევას, ესე იგი ამ დარგის ისე განვითარებას რომ თვით რუსეთს შეეძლოს თავისთვის საჭირო ბამბის მოყვანა, ფერხდება უმთავრესად ბამბის თესვა-მოყვანის საქმეში გამოუცდელობით, მუშის უმოგრობით როცა საჭირონი არიან, არ ცოდნით იძის რაში გამოიყენონ ბამბის დამუშავების შემდეგ დაჩენილი მასალა, სარწყავი წყლების ნაკლებობით და არხების უქონლობით და უვარგისობით.

საქმის დასახმარებლად საშველი ზომების შემუშავებისათვის ჯერ ისევ 1904 წელს ყოფილმა მაშინ მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამართა მებაზბეთა კრებები სოფელ ალდაში და ქალაქ ერივანში.

ბევრი რამ საყურადღებო გამოითქვა ამ კრებებზე შესახებ მებამბეობისა და სხვათა შორის ისიც, რომ საჭიროა შემდეგი კრება მებამბეებისა ქალაქ ტფილისში გაიმართოსო.

მას აქეთ საქმის ვითარებამ და აწ არსებულმა პირობა-გარემოებებმა იძულებულ ჰყვეს მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროს მართველის რწმუნებული კავკასიაში ეშუამდგომლნა, რათა მოწვეულ ყოფილიყოს ქალაქ ტფილისში მდგომარე წელს კავკასიელ მებამბეთა კრება.

ხელმწიფე-იმპერატორის მოადგილემ კავკასიაში ნება დართო ამ შუამდგომლობას და მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების უფროს მართველთან შეთანხმებით გამოცხადდა კრების მოწვევა.

ამ კრებამ უნდა განიხილოს უმთავრესი საჭიროებანი მებამბეობისა და შეიმუშაოს ის ზომები, რომელნიც მეტ წარმატებას მისცემენ ამ დარგის განვითარებას კავკასიაში.

კრება მოწვეულია ენკენისთვის 25-სათვის, იმუშავებს სრული ოთხი დღე და დაიშლება 29-ში.

კრების თავმჯდომარედ დანიშნულია **ხელმწიფე-იმპერატორის** მოადგილეს თანაშემწე სენატორი ვატაცი და მის ამხანაგად მეურნეობის ინსპექტორი კავკასიაში ბ. ვასილიევი.

კრების მიერ განსახლველი კითხვები და წესდებულენი კრების მოწვევის შესახებ დამტკიცებული ოფიციალურად აქვე იბეჭდება ცალკე.

რადგან მებამბეობა როგორადაც დარგი მეურნეობისა ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, ამიტომ სასურველია რომ ამ კრებას რაც შეიძლება ბლომად დაესწრნენ როგორადაც ბამბის თესვა-მოყვანის მიმდევარნი, ისე ბამბის მრეწვილობის წარმომადგენელნიც და ბამბით მოვაჭრენიც. ესეთი კრება ყოველ მხრივ შესძლებს

განიხილოს საქმის გარემოება, აღნუს-
ხოს ყველა უმთავრესი საკიროებანი და
გამოძებნოს ის გზა, რომელნიც მეტ
შემოსავლიანად გახდინან ამ დარგს მე-
ურნეობისას და სასურველ დონემდე
განავითარებენ მას მომავალში.

როგორადაც ადგილობრივი უფროსი
მართველნი ისე მიწათმოქმედების სა-
მინისტრო იმედოვნებენ, რომ რიცხვით
მრავალნი ბაშბის თესვა-მოყვანის მიმ-
დევარნი, ბაშბის მრეწველნი და ბაშ-

ბით მოვაჭრენი, სასოფლო-სამეურნეო
საზოგადოებათა და სხვა დაწესებულე-
ბათა — ბანკების, საკრედიტო და სა-
კოოპერაციო ამხანაგოებების წარმომა-
დგენელნი, სპეციალისტები და ბაშბის
კულტურის მკოდნე პირნი თავიანთი
მონაწილეობით კრებაზე დიდ სამსა-
ხურს გაუწევენ ამ განსაზღვრულ
კითხვების ყოველ მხრივ შესწავლა-
გამოკვლევას და შემდგენისათვის სა-
ხელმძღვანელოდ დადგენილებების გა-
მოტანას.

მეცხვარეობა საქართველოში

ძველად საქართველოში მეცხვარეო-
ბას ძალიან მისდევდნენ. ოჯახს ვერ
იპოვდა კაცი, რომ რამდენიმე სული
ცხვარი არ ჰყოლოდეს. ამას ხელს უწყ-
ობდა ის ძირითადი კანონები საქარ-
თველოს სამეფოსი, რომ ტყე, საძო-
ვარი და წყალი არავის აღეკრძალე-
ბოდა. თავისუფლად ამოვებდნენ შთებ-
ზედ, სადაც ზაფხულობით საუცხოვო
საბალახებია და ზამთრობით კიდევ ბა-
რად ჩამოუდიოდათ, სადაც ზამთრობით
თბილა და თოვლიც იშვიათი მოვლენაა.
მთელი წლის განმავლობაში ცხვარი
სულ მუქთად იკვებებოდა ფეხზე.

მეცხვარეობა საქართველოში
დასდო მეცხვარეობას. ნამეტნავად მე-
ორე ნახევარმა. ძირითად შეიცვალა
გლეხთა ცხოვრება. გაჩნდა ათასგვარი
დაპრკოლება ცალკე ადმინისტრაციის
მხრივ, ცალკე კიდევ საბალახების და
ტყის მისაკუთრებით ხაზინისა და თავად-
აზნაურობის მხრივ. გლეხობა სულ
მთლად საკუთრებისა და უფლებების
გარეშე დარჩა. დღესაც არ გამოჩე-
კეულა გლეხთა მდგომარეობა საქარ-
თველოში. ისევ ისე აწეწილია გლეხთა

მდგომარეობა, როგორადაც აიწეწა თა-
ვიდანვე. მეცხვარეობა საქართველოში
დაბადა „საბალახე“, „ლალა“, „მეოთხედი“ და
მრავალი ამგვარი გადასახადი...

რასაკვირველია ასეთი არე-დარევა,
გლეხთა უუფლებოდ და უმამულოდ და-
ტოვება დიდ გავლენას იქონიებდა მე-
ცხვარეობაზე, რადგანაც მეცხვარეო-
ბას მხოლოდ გლეხები მისდევდნენ და
მისდევნენ საქართველოში. წინად თუ
სოფელში გლეხის ოჯახს ვერ იპოვი-
დით რომ რამდენიმე სული ცხვარი და
თხა არ ჰყოლოდეს, დღეს აუარებელ
სოფლებს მოივლით, რომ ერთი სული
ცხვარიც ვერ იპოვოთ.

მეორე საქართველოში კიდევ ერთი შე-
მაფერხებელი გარემოება დაჰბადა მე-
ცხვარეობისთვის. საქონლის ღირსი ის-
ტორიული სატკივარია საქართველო-
ში. ამას თავისი წარსული აქვს. მაგ-
რაჲ ერთი გარემოება იქცევს ყურადღე-
ბას. მსხვილ-ფეხ საქონლის ღირსი მძვი-
ნვარების დროს არც ერთხელ არსად
არ არის აღნიშნული, რომ ამ სატკივ-
რით ცხვარი, ან თხა ავად გამხდარი-
ყოს. თორმეტი წელიწადია რაც სის-

ტემატიურად ებრძვის მთელი კლრი ვეტერინარებისა ამიერ კავკასიაში ამ რისხვას სხვილ-ფეხ საქონლისას, მაგრამ დღემდის არც ერთ ვეტერინარს არ შეჰხვედრია ამ სენით ავად გამხდარი ცხვარი და არც ის აღუნიშნავთ, რომ ცხვრის წყალობით ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასულიყოს ქირი. . . ვგონებთ, თორმეტი წელიწადი სრულიად საკმარისია, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს და ერთხელ და სამუდამოდ მეცნიერულად გამოიკვლიონ, „ხდებიან თუ არა ქირით ავად ცხვრები ამიერ კავკასიაში“ და, თუ არა, მაშინ მეცხვარეობისათვის სულის შემხუთავი სავეტერინარო ზომები შეამსუბუქონ...

ამის და მიუხედავად მეცხვარეობას დღესაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოში. მთაში თუ ბარში კიდევ მოიპოვებიან ისეთი მეცხვარეები, რომელთაც ათასობლივ ჰყავთ ცხვარი. ზოგს ათი ათასიც ჰყავს. ნამეტნავად კი ქართველი მთიელები მისდევენ მეცხვარეობას და ზოგისთვის მეურნეობის მხოლოდ ეს დარგია ცხოვრების საღსარი...

მეცხვარეობა და მჭიდრო საუკუნოები მეცხვარეობის განვითარებას წინ აღუდგნენ, მაგრამ წესი მეცხვარეობისა ვერ შეჰსცვალეს, რადგანაც სამაგიეროს არას აძლევდნენ... ისევ ძველებურად ზამთარ-ზაფხულ თუმცა დიდის ვაჭირვებით და ბევრის დაბრკალებით მთა-ბარობენ...

რასაკვირველია, ამ გარემოებაში ქართველი გლეხი-მეცხვარე ჯიშს ვერ გააუმჯობესებდა სხვადასხვა ჯიშების შერჩევით და გამოცდით, რადგანაც ამას დრო და თავისუფლება უნდა. ქარ-

თველი მეცხვარე კი ორივეს მოკლებულია. ქართველი მეცხვარის ზრუნვა დღეს-დღეობით იმაში იხატება, რათა შეინარჩუნოს ის ჯიში ცხვრისა, რაც წინაპრებს საუკუნოებით შეუმუშავებიათ.

ქართული ცხვარი საშუალო ტანისა, თეთრი, განზე გრებილ რქიანი, ხოლო დედალი ურქო, რვეალ დუმიანი; საზოგადოდ ლამაზი შეხედულობა აქვს.

კარგი ჯიშის ცხვარს დუმა არ უნდა ჰქონდეს ძირს ჩამოშვებული. სიმსუქნე მაშინ სულ დუმიანსკენ მიდის და წელში არა სუქდება ცხვარი.

ცხვარი უნდა იყოს მკერდიანი, ხერხემალი ჰონდეს დუმიან თინასწორად.

მატყლი უნდა იყოს წონიანი (ძძიმე), გრძელ და რბილ ბეწვიანი, თივთიკიანი (თივთიკი არის წვრილი ბეწვი, რომელიც მატყლის ქვეშ აქვს ცხვარს).

ჯიშიან ცხვარს პირზედაც მატყლი აქვს. ქოსა ჯგვარია.

ცხვარი უნდა იწველიდეს ბევრსა და ნოყიერ რძეს. ცერი ძუძუსი უნდა დიდი ჰქონდეს ცხვარს, თუნდა დუნე იყოს ეს ცერი, თუნდა მაგარი, სულ ერთია. ზოგნი მაგარ ცერიანს ამჯობინებენ, რადგან დუნე ცერიდან რძე თავისთავად სწვეთავს ხოლმე და იღვრება.

საკლავად ინარება ჭედილა (დაკოდილი ცხვარი). როცა ჭედილა ერთმოვლილია,* ესე იგი სამი წლისაა, მაშინ წონაში მოდის. თუ მოვლილი არ არის, ხამია, მაშინ ის წონაში არ მოდის.

ჭედილა იკოდება ორი წლისა.

*) სამი წლის ჭედილას ეტყვიან ერთმოვლილი. ოთხისას—ორმოვლილი. ხუთისას—სამმოვლილი და სხვ.

ნერბსაც (ყოჩი) სწორედ ის ნიშნები უნდა ჰქონდეს, რაც ცხვარზედა ვსთქვით. გარდა იმისა ნერბი უნდა იყოს უნიშნო, მთლად თეთრი.

ხამი ნერბი ორი წლისაა. ნერბს ინახვენ ხუთმოვლილსაც, ხოლო თუ ჯიშინია. შემდეგ კი ქოსავდება, სიბერეში შედის და ჰკლავენ.

თუ უკეთესი ჯილაგის თოხლი გამოჩნდა, მაშინ ნერბათ მას გახდიან და უჯილაგო ნერბს კი კლავენ, თუნდაც რომ ჯეილი იყოს.

კარგი ჯიშის მეწველე ცხვარი ერთია, კარგი მატყლის მომცემი სხვაა და კარგი საკლავი სხვა.

ქართული (თუშური) ჯიშის ცხვარს კანი ძალიან თხელი და ნაზი აქვს, ვიდრე ლეკურს, ან თათრულს. ამიტომ ქართული ცხვრის ტყავს შეკერილს ნაკლები გამძლეობა აქვს.

როგორც ქართული ცხვარი სუქდება და ქონს იკეთებს, ისე არცერთი არც თათრული და არც სხვა აქაური ცხვარი არა სუქდება.

ამიერ კავკასიაში არსებულ ჯიშებში ქართულ ცხვარს უჭირავს პირველი ადგილი თავის მატყლის, რძისა და ხორცის ღირსებით. ნამეტნავად ხორცის ღირსებით, რადგანაც ქართული ცხვრის ხორცი მოკლებულია იმ თავისებურ ზინზლის სუნს და გემოს, რაც თითქმის ყველა ცხვრის ჯიშის ხორცსა აქვს.

მართალია ქართული ცხვარი ნაზბეწვიან მოდგმას არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც საკმარისად ნაზი და გრძელი ბეწვი აქვს. თითო ცხვარი წელიწადში ორჯერ იპარსვის (გაზაფხულით და შემოდგომით) და ორივე ნაპარსის წონა — 10 გირვანქას უღრის, ბატკნისა

კი 2 გირ. (მარტო შემოდგომით პარსავენ ბატკანს).

ქართველი მეცხვარე ამ სისტემას მისდევს: დედა ბატკანს არ გაჰყიდის. ჰყიდის მხოლოდ მამალს და ისიც უფრო მდარეს. მამალ ბატკნებიდან ნერბად სტოვებს საუკეთესოებს. დანარჩენებს წლის თავზე თუ არ გაყიდა, ჰკლავს და შემდეგში თანდათან ჰყიდის საკლავად. დედალს კი მხოლოდ ხუთის წლისა რო გახდება. მაშინ ჰყიდის საკლავად. ხუთის წლის ნერბებსაც მაგრევე უშვრება, რადგანაც ხუთი წლის შემდეგ დედალსაც და მამალსაც უვარგისებად სთვლის გასაშენებლად...

როგორც ვხედავთ, ქართველი მეცხვარე ერთი თაობის მოსაშენებელ ცხვრით სარგებლობს მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში. პირველ წლის განმავლობაში მეცხვარე იღებს მხოლოდ მატყლს 5 გირვანქას. შემდეგ წლებში კი დედალი ცხვარი იძლევა ბატკანს, მატყლს 10 გირვანქამდის და რძეს.

რძეს ბევრს არ იძლევა ქართული ცხვარი, რადგანაც უფრო მეტს აწოვებს ბატკანს. დღეში ერთხელ სწველენ შუადღისას. შემდეგ ბატკანი გვერდით ჰყავს კარგა შებინდებამდის. მერე კი მოაშორებენ მეორე დღის მოწველამდის. შეიძლება დღეში ერთი გირვანქა რძე მისცეს. იწველება კი ოთხთვე ნახევარს. მაშასადამე წელიწადში იწველის ას-ოცდა ხუთმეტ გირვანქას...

რძეს მხოლოდ ყველისთვის ხმარობენ. მოსწველიან თუ არა, მაშინვე მოაყველებენ...

უნდა ვსთქვათ ქართველ მეცხვარეების სასიქადულოდ, რომ ყველის ტიპიც კი შეიმუშავეს და დღეს თითქმის ამიერ კავკასიაში, რაკი ბაზარი გაეხსნა ქარ-



თულ ყველს, ყველგან ამ ტიპის ყველს აკეთებენ და რუსეთში „კავკასი სირის“ სახელით შემოაქვთ. მეორე ტიპის ყველი არსებობს კიდევ ქართული, რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, მომავალი დიდი მოელის, როდესაც მსოფლიო ბაზარზე გავა; რადგანაც ის უფრო უახლოვდება ევროპიულ მომძალო ყველებს. ეს გახლავთ იგივე ქართული ყველი, ხოლო რადგან მის კეთებას საქართველოს ერთი პროვინცია მთიელ ქართველებსა, ვგრედ წოდებული თუშები, მისდევენ ამგვარ ყველის შენახვას, ამისთვის ამიერ კავკასიაში ამ ტიპის ყველს უწოდებენ „თუშურს“. ორივე ეს ტიპი ყველისა კი ქართველ მეცხვარეების მიერ არის შემუშავებული.

ბაზარში ორივე ტიპის ყველს კარგი ფასი აქვს. გირვანქა 20—30 კაპ. იყიდება.

ქართველი მეცხვარე ჰყიდის მატყლსაც. ცოტას კი შინამრეწველობისთვის ჰხმარობს.

ერთ დროს განთქმული იყო საქართველო შინამრეწველობით. მაგრამ ისევე ის მეცხვარეები საუკუნო გახდა სამართად ამ მრეწველობისა. მხოლოდ ეხლადა, სულ ბოლო დროს, დაიწყო ისევ აღორძინება და, რასაკვირველია, ღირსებით ჯერჯერობით ბევრად ჩამოუვარდება ახლანდელი ნაწარმოები წინანდელ საუკუნოების ნაწარმოებს. ურიგოდ არ ჰქსოვენ დღეს საჩოხეებს, ხალიჩებს და სხვ.

მეხუთე წელს მოსაშენებელი ცხვარი უკვე სახორცედ არის გამზადებული. ხორცი, როგორც ზევითა ვსთქვით, მოკლებულია ჩვეულებრივ ზინზლის სუნს და გემოს. ამისთვის ქართული ჯიშის ცხვარი კარგ ფასებში იყიდება შედარე-

ბით სხვა ამიერ კავკასიის ჯიშებთან, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ნაკლებს იწონის.

დაკლული ცხვარი ქართული ჯიშისა ხორცად გამზადებული იწონის:

დუმიანაჲ.	დუმის წონა.
1 წლისა... 30—35 გირ.	8 გირ.
2 წლისა... 40—50 „	10 „
3 წლისა... 60—70 „	12 „
4—5 წლისა... 75—80 „	15—20.
5 წლის დედალი ცხვრის წონა	40—45 „ 6 „

სამწუხაროდ, დღეს ძალიან ძნელია იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი სული ცხვარი მოიპოვება საქართველოში, რადგანაც ერობას მოკლებული ხალხი ძნელად, თუ რაიმეს გამოანგარიშებს სინამდვილედ. სასტატისტიკო ცნობების შეგროვება ადმინისტრაციის ხელშია. ხალხი კი ადმინისტრაციას უნდობლად უცქერის და ამისთვის იმათი ცნობები ყოველთვის სინამდვილესთან ძალიან დაშორებულია...

ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში უფრო მეტის მომზადებით აღკურვილმა პირებმა თავიანთ მიზნისთვის მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი. ჩვენ ვამბობთ ამიერ კავკასიაში სხვილ-ფეხ საქონლის ჰირთან მებრძოლ კადრზე—ვეტერინარებზე. მაგრამ ყველა მათგანი დამეთანხმება, რომ ჰირიან სოფლებშია ცი ყოვლად შეუძლებელი ხდება უტყუარი ცნობების შეგროვება. დღეს თუ ერთი რიცხვი აღმოჩნდა, მეორე დღეს სხვა რიცხვი უდგებათ თვალ-წინ: ან მეტი, ან ნაკლები, და ეს ხდება თითქმის ყოველ დღე, თუმცა ძალიან სასტიკად ექცევიან.

თუ სხვილ-ფეხ საქონლის აღწევას ეს დღე ადგია, უარესი იქნება მით უმე-

ტესად ცხვრის აღნუსხვის დროს, რადგანაც ამათ ასაწერად ისე თავს არ იცხვლებენ...

მაინც ამათი ცნობები უფრო სინამდვილესთან ახლოა და ამისთვის ვსარგებლობ ამიერ კავკასიის სავეტერინარიო მართველობის კანცელარიის ცნობებით:

	ცხვარი	თხა
ტფ. გუბერნიის...	1,734,563	66,754
ქუთ. გუბ. ჭ სობ.	92,779	55,317
ბათომ. ჭ ართვინის.	69,543	9,775
ზაქათ. ოლქის...	67,821	8,202
სულ...	1,964,806	140,048

ვიმეორებთ, ეს ცნობები ძალიან შორს უნდა იყვეს. ნამეტნავად ქუთაისის გუბერნიისა, რადგანაც იქ მეთხეობა ძალიან არის განვითარებული, როგორც რძის მომცემი. ძროხას იქ თითქმის სულ არ ინახვენ და ამისთვის თხა არის იმათი რძით მკვებავი. იქაური ქართული ჯიშის თხა დღეში იძლევა ათ გირვანქაზე მეტს რძეს... ქუთაისის გუბერნიაში ერთ მილიონამდის მცხვრებია და შეუძლებელია, რომ იმოდენა ხალხს მარტო 55,317 თხა ჰკვებავდეს რძით.

შ. დედაბრიშვილი

სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საგჟრუს მიმარ მიღებული და ხელმწიფე იმპერატორისაგან დამტკიცებული 9 ივნის 1912 წელს კანონი სასოფლო-სამეურნეო სასჯალ სადგურთა დაარსების შესახებ

I. დაეკისროს ხაზინას სამი მეოთხედი იმ ხარჯისა, რომელიც დასჭირდებათ ერთდროებით და ყოველ წლივ ერობებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და სხვა საზოგადო სამეურნეო დაწესებულებებს მათ მიერ განზრახულ სამეურნეო საცდელ სადგურების დაარსებისათვის და მათ მართვაგამგეობისათვის, უკეთუ ამ სადგურებს ექნებათ მიზნად: 1) შეაერთონ მეცნიერულს ნიადაგზე რაიონში არსებული ყველა საცდელ დაწესებულებათა მოქმედება და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი; 2) შეიმუშაონ სხვადასხვა მეთოდი გამოკვლევისა და 3) შეისწავლონ მეურნეობის და ისტორიულის მხრივ აქაური რაიონი სისტემატიურად.

II. მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროს მართველს მიენიჭოს

უფლება: 1) აღმოუჩინოს ხოლმე, თანახმად ამა კანონის პირველი მუხლისა, დახმარება ერობებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და სხვა საზოგადო სამეურნეო დაწესებულებებს, რომელნიც იკისრებენ ამ საცდელ სადგურების ზედამხედველობას, და 2) დაამტკიცოს საცდელ სადგურის გამგე კომიტეტის წევრი, რომელთაც აარჩევენ ამ საქმით დაინტერესებული დაწესებულებანი.

III. დაწესებულ იქმნას საცდელი ზოოტექნიური სადგური და სამეურნეო მაშინა-იარაღების გამოსაცდელი სადგური მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში და საცდელი სადგურა მებილეობისა სახელმწიფო მამულში „სალგირკა“, თავრიზისკის გუბერნიაში.



IV. მიეცეს მიწათმოწყობის უფროს მართველს უფლება უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში საცდელი სადგურების დაარსებისა მოთხოვნილებისა და

გვარად და მათთვის საჭირო თანხის შეტანისა წლიურს ხარჯთაღრიცხვაში.

V. კანონი ესე შეტანილ იქმნას ცხოვრებაში 1 იანვრიდან 1913 წლისა.

ფესდებულებანი

მებამბეთა კრების მოწვევის შესახებ ქალაქ ტფილისში 1912 წ.

1) კრება მოწვეულია მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროსი მართველის და კავკასიაში ხელმწიფე-იმპერატორის მოადგილეს ერთმანეთთან შეთანხმებით ქ. ტფილისში სექტემბრის 25-დან 29-მდე.

2) კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ იმ პირთ, რომელნიც მიზიდვენ ბამბის მოყვანას, მრეწველობას და ბამბით ვაჭრობას; ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების და სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლებს; მებამბეობით დაინტერესებულ დაწესებულებებს და ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ დანიშნულ პირებს.

3) კრებას აქვს მიზნად გამოარკვიოს უმათავრესი საჭიროებანი ბამბის თესვა-მოყვანის საქმეში და შეიმუშაოს ის ზომები, რომელნიც ამ საქმის განსავითარებლად ამიერ კავკასიაში შექმნიან საუკეთესო პირობებს.

კრების მიერ განსახილველი კითხვები პროგრამაშია დაბეჭდილი.

4) კრების თავმჯდომარე და მის ამხანაგი დაინიშნებიან მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროს მართველის შეთანხმებით ხელმწიფე-იმპერატორის მოადგილესთან კავკასიაში.

5) კრების მოწვევის შესახებ ყველა განკარგულებების მოხდენა—წევრების მოწვევა, ოქმებისა და დადგენილებების შედგენა და სხვ. მიენდობა მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროს მართველის რწმუნებულის ხელმძღვანელობით მისმიერ დანიშნულ მოსამსახურე პირთ.

6) განცხადებანი კრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ წარედგინებიან კრების გახსნამდე რწმუნებულს, მერე კი—კრების თავმჯდომარეს.

7) კრება მოისმენს დაწერილსა და სიტყვიერ მოხსენებებს იმ კითხვებზე, რომელნიც პროგრამაში არიან ჩამოთვლილნი, და გამოიტანს თავის დადგენილებებს.

8) დაწერილი მოხსენებები უნდა განსახილველად წარედგინონ რწმუნებულს რამდენიმე ხნით წინ ვიდრე კრება გაიხსნება.

9) კრების დადგენილებანი წარედგინებიან რწმუნებულის მიერ ხელმწიფე-იმპერატორის მოადგილეს კავკასიაში და მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების უფროს სამართველოს.

10) კრება ემორჩილება არსებულს კრებების შესახებ კანონმდებლობას.

პროგრამა კითხვებისა

რომელიც უნდა განიხილოს მეზამბეთა კრებამ ქალაქ ტფილისში, სექტემბრის 25-დან 29-მდე.

1) რაში მდგომარეობს უმთავრესი ნაკლი მეზამბეობისა ჩვენში.

2) რა გავლენა აქვს ბამბის თესვა-მოყვანას მიწის ღალის გადიდებაზე და მის ფასის მომატებაზე.

3) მიზეზი ბამბის მოსავალის თანდათან შემცირებისა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ამ მოვლენის წინააღმდეგ.

4) რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ბამბის თესვა-მოყვანის საქმეში ამიერ კავკასიაში: ხენა-თესვის გაფართოვებას და მიწების მორწყვას, თუ ტენიკის გაუმჯობესებას და უფრო ბეჯითად მოქცევას საქმეში.

5) რა ნაირი ზომები უნდა მივიღოთ ბამბის თესვა-მოყვანის გასაფრცხლებლად ურწყავ რაიონებში.

6) როგორ მოვახერხოთ, რომ ბამბის მთესველს კარგი ღირსების კურკა ჰქონდეს სათესლედ.

7) რა მნიშვნელობა აქვთ საცდელს და საჩვენებელს ბამბის მინდვრებს და ინსტრუქტორების მოღვაწეობას ამ მეურნეობის დარგში ზედმეტი ცოდნისა და გამოცდილების მისაწოდებლად ხალხისადმი აწ არსებულ მოთხოვნილების თანახმად.

8) რა მნიშვნელობა აქვს მეზამბეობის წარმატებისთვის კურსების მოწყობას, ხალხთან ბაას, გამოფენების მართვას და ამ დარგის ლიტერატურის

გაძლიერებას და გავრცელებას ხალხში.

9) დაჯილდოება იმ პირთა, რომელნიც საუკეთესო შედეგს მიიღებენ ამ დარგში მუშაობით.

10) უზრუნველყოფა მუშის მხრივ იმ რაიონებში, სადაც ბამბის მოყვანას მიზღვევენ.

11) ნაკლი, რომელიც ეტყობა ბამბით ვაჭრობას იქ ალაგობრივ, სადაც ბამბა მოჰყავთ, და რანაირი გზით შეიძლება ამ ნაკლის თავიდან აცილება.

12) რანაირი მიმართულება უნდა მიექცეს ბამბიდან კურკის გამოსაშორებელ ქარხნებს და კურკიდან ზეთის გამოსახდელ ქარხნებს, რომ მათი მოქმედებით ბამბის თესვა-მოყვანას ზედმეტად შეეწყოს ხელი ჩვენში.

13) რანაირი გზით შეიძლება გაუადვილოთ მეზამბეებს საჭირო კრედიტის მიღება იათად.

14) რანაირი მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებს და ბამბის სამრეწველო ფირმებს მეზამბეებისათვის საჭირო კრედიტის აღმოჩენაში.

15) რა ზომებია საჭირო რომ წესიერი სტატისტიკა დაარსდეს მეზამბეობისა ჩვენში.

16) რკინის გზის ტარიფები (გარდა-



სახადები) და მათი შემუშავება მეზამბეობის საჭიროებათა მიხედვით.

17) რა მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივ მეზამბეთა კომიტეტებს და ამ კომიტეტების დაარსება.

18) ბაჟი საზღვარგარეთიდან შემოსულ ბამბაზე და სახელკწიფო გადასახადები, რომელიც განუზრახავთ დააღონ მეზამბეობას რუსეთში.

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი

შეკრებილი გურიაში.

უბრალო ბალახები

ანწლი	ტყაველა
აპურაკი	ღექეჭა
ზარბაზნაი	ცოცხა-ცოცხა
კაკირიე	ცხენიკილა
კატაბარდა	ჭადაჭადა
ტაბელა	ჩალამკალამა
ტრიეკულა	

სამკურნალო ბალახები

დათვი-ფანჩარა	კვიდო
ეგირი	კოთხოჯი
ერისა	მკვდარი-ვაშლი
ელუსალემა	ოსპონტრო
თაფნისი	რძია-რძუა
თაქოსტო	

საკმელად ხმარებულნი

დედლიქონა	ძიგურა
კეყერა-ფხალი	წითელი-ფხალი
ჭიჭლაყა	ჭანდუა
ჭყანა	ბაბილო, —ვაზის
ყვამბჩილა	ფოთოლი

ჭინახული

სიმინდას გვანძი	ღამის გვანძი
ალაზნაი	ბარამული
თეთრი სიმინდი	მათრახაი
შვიდკვირეული	კუნურაი
სიმინდი	ძირდაბალი
	ჯორიელა

ბოსტნეული

კიტნის გვანძი	ღჯის-ლობიო
რუსული კიტრი,	ქონა-ლობიო
ანუ შუშა-კიტრი	ხონიე-ლობიო
მიწის კიტრი	წილობიო, წვრილი ლობიო
ღჯის კიტრი	გაგნას გვანძი
ჯობიფს გვანძი	ხაბი
ყვერება-ლობიო	ხაპერა
მიწის-ლობიო	მწარე ხაბი

უბრალო ხე-ჩირგვები

ლუკუმფხა	ეკლი-ხე
სურო	შავი-ხე
ბურჩხა	კაპიტი
დაფხნა	შქერი
ეკალა	ცხემლა

ტყის ხე-ხილი

შავი წყავი	პანტა ვაშლი
თეთრი წყავი	პანტა სხალი

ხე-ხილები

ეუქმნის სასკელები	ორანაი
ათინური	სამარხა
ბადაგი	ტრედი-ფენა
კლარჯული	ლომის-თვალა
კამური	წუმბური
კორძული	თხიჯის სასკელები:
იზაბელა ანუ თეთრიშა	ბერძნული თხილი
მოხატური	გულშიშველა

ველური თხილი ბაჯის გვარი:
 საფერისცვალებო თხილი ალექ-მალექა ბა-
 ჩხიკვის-თავა კახა-ბალი [ლი
 შავბალა
 კაკლის სასხელები: შავბალას ბუში
 ატმის გვარი:
 თქლიფი ნიგოზი, ვაშლ-ატამა
 თხელ-ნაქუქიანი, ხოლო „კერკეტი“ სახრავე ატამი
 მაგარ-ნაქუქიანი. საპოზი ატამი

ვაშლების სასხელები: მსხლის სასხელები:
 ბია-ვაშლი დათვი-მსხალი
 დემის-ვაშლი კაცის-თავა
 ლიმნის-ვაშლი კვირიკობ-მარიო-
 ნაცარა-ვაშლი ბის სხალი
 ნაცარა შავი ვაშ- მოლრის სხალი
 ლი საივანობო სხალი
 სამეფო ვაშლი სხალ-გიდელა
 წითელი ვაშლი ხატრი-სხალი.
 მესხი კ. გვარამაძე

საეკონომიკური ცნობები

თხლ-ჭაჭის შედგენილობა და გამოყენება.— ღვინის გაწურვის ან ქვევრიდან ამოწურვის შემდეგ პარკში ან ქოცო-კვევრში რჩება სქელი თხლე, რომელსაც ცოტადენი ღვინო კიდევ ურევია. ამ თხლეს ჩაასხამენ წმინდა ტილოს პარკებში და ჩააწყობენ პარკებს საქანჩავში, სადაც ჯერ ნელა გამოქანჩენ და შემდეგ უფრო და უფრო ძლიერ, მანამ სრულიად გამოიწურება ღვინო. გამოქანჩვის დროს სიფრთხილე უნდა, რომ პარკები არ დასქდეს. გამოქანჩულ თხლეს გააშრობენ და შეინახავენ ყუთებში, ან ბოჩკებში, ან ქოცოებში, მშრალს ადგილს და მოთხოვნილებისდაგვარად ჰყიდიან.

გამშრალი თხლე მდიდარია ღვინის მარილით, რომელსაც კარგი ფსიკაქეს. ამ თხლის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს:
 ღვინის მარილი (კრემორტატარი). 60,75⁰/o

კირიანი ღვინის სიმუხავის მარილი	5,25 ⁰ /o
მაგნეზია	0,40 ⁰ /o
კირიანი ფოსფორის სიმუხავე	6,00 ⁰ /o
კალი-ქვიანი ფოსფორის და გოგირდის სიმუხავენი	2,80 ⁰ /o
კაჟის სიმუხავე და ქვიშა	2,00 ⁰ /o
აზოტური ნივთიერებანი	20,70 ⁰ /o
ქლოროფილი (საღებავი)	1,80 ⁰ /o
ცივილი	0,50 ⁰ /o

გამიზი, საღებავი და ტანინი—ძლივს შესამჩნევნი არიან. საზოგადოდ ცნობილია, რომ თხლე შეადგენს ღვინის 4⁰/o და როცა გამოქანჩულია, მაშინ მხოლოდ 1⁰/o. მრეწველობაში ამ თხლიდან ამზადებენ სხვადასხვა ნივთიერებებს და განსაკუთრებით ხდიან ღვინის მარილს და ან ღვინის სიმუხავეს.

მდგომარეობა 1912 წელს სამეურნეო უზრუნველყოფის

წელიწადი მეათეხე "ეკონომიკური" წელიწადი მეათეხე

გამოდის იმავე პროგრამით. მიიღება ხელის-მოწერა მარტო ტფილისში. უზრუნველყოფის ღირს წლიურად 3 მანეთი, ცალკე ნომერი—15 კაპეიკი. რედაქცია ვცდება წლის თავზე ძვირფასი პრემია მიაწოდოს ხელის-მომწერლებს.

რედაქცია-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე